N486 2015 წლის 15 სექტემბერი ქ. თბილისი

„მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფორმირების და ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 ივლისის №352 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მიგრაციის მონაცემთა ერთიანი ანალიტიკური სისტემის ფორმირების და ადმინისტრირების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 ივლისის №352 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 17/07/2015, 010140010.10.003.018737) დამტკიცებული წესის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**